სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №142

ქ. ბათუმი 11 მაისი 2015 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის პირველი მოადგილის მამია ბერძენიშვილის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს. ,,ბაგრატი 1003" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლევან შონიას სახით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 55100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელმა დეპარტამენტის სტუმრებს ლიტვის რესპუბლიკიდან - მასმედიის წარმომადგენლებს (5 პიროვნება) 2015 წლის 16-17 მაისს (1 ღამე) უნდა გაუწიოს სასტუმრო მომსახურება 5 სასტუმრო ნომრით.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 340 (სამასორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ანგარიშსწორების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის კურსის მიხედვით.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) ან/და მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) გაფორმებით.

5.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირებია:
ა) თამარ მგელაძე - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების უფროსი;
ბ) სოფიკო გოთუა - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
გ) ნონა მარკარიანი - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

6. მომსახურების გაწევის ადგილი

6.1. მომსახურების გაწევა მოხდება მისამართზე: ქ. ქუთაისი, წერეთლის მე-2 ჩიხი, N 2-ა.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - ნონა მარკარიანი - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 08 მაისიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**შპს „ბაგრატი 1003“**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლის მე-2 ჩიხი, N2-ა.
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი: 212900039
სს “თიბისი ბანკი”	სს „თიბისი ბანკი“-ს ქუთაისის ფილიალი
ბანკის კოდი: – TBCBGE22	კოდი: TBCBGE22
ანგარიში № *GE 62 TB 79 0173 60101000 15*	ანგარიში № GE 58 TB 0390136020100007
თავმჯდომარის პირველი მოადგილე	გენერალური დირექტორი
_____/ მამია ბერძენიშვილი/ ბ.ა.	_____/ ლევან შონია/ ბ.ა.